

ექსტენსიური აკვაკულტურის განაცხადის ფორმა

1. საკონტაქტო ინფორმაცია

1. დაინტერესებული პირი (საინდივიდუალური ნომერი)

შპს „მარაბდა ლეიქ“. 430807763

2. საკონტაქტო პირი: მიხეილ ჩომახაშვილი.

3. ტელეფონის ნომერი: **551113138**

4. ელ.ფოსტის მისამართი: ninopapava111@gmail.com

5. საფოსტო მისამართი:

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი მარაბდა, მიხეილ ჩომახაშვილი.

2. ექსტენსიური აკვაკულტურის საქმიანობის განხორციელების ადგილი

1.წყალსატევი:

მარაბდის წყალსაცავი

2.მუნიციპალიტეტი:

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

3.გეოგრაფიული კოორდინატები:

სოფელ მარაბდის მიმდებარე ტერიტორია.

4792286.10 E

4599532.03 N

3. საინვესტიციო ან/და ინფრასტრუქტურის განვითარების წინადადებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

არ იგეგმება

4. ინფორმაცია მეთევზეობის/აკვაკულტურის სფეროში გამოცდილების შესახებ;

თევზსამეურნეო საქმიანობით დაკავებული ვარ 24 წელზე მეტია, კერძოდ ვმუშაობთ თბილისის თევზების, კერძოდ კობრისებთა თევზის სახეობების მოშენებით სატბორე მეურნეობაში. აღნიშნული სატბორე მეურნეობა მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მარაბდას ტერიტორიაზე.

5. ინფორმაცია აკვაკულტურის წარმოების წლიური წარმადობის შესახებ;

პროდუქციის წლიური წარმადობა წყალსატევის ფართობის, მოცულობის, წყლის ხარისხისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით შესაძლებელია მერყეობდეს 10-დან 20 ტონამდე. ვინაიდან მარაბდის ტბა მარაგდება ალგეთის წყალსაცავიდან გამომავალი სამელიორაციო არხით, რომელშიც ნაკლებადაა ისეთი ნივთიერებები, რომელიც მნიშვნელოვანია თევზის მასის მატებისათვის, წყალსატევის ბუნებრივი წარმადობის გაზრდის მიზნით დაგაგმილი გვაქვს გამოვიყენოთ თევზის ხელოვნური საკვები, მათ შორის მარცვლეული, კერძოდ სიმინდი, ხორბალი, ქერი და სხვა.

6. ინფორმაცია ექსტენსიური აკვაკულტურის საქმიანობის დაფინანსების წყაროების შესახებ

პროექტის დაფინანსება მოხდება საკუთარი სახსრებით, კერძოდ პირველ ეტაპზე შეძენილი იქნება ჩასასმელი მასალა, ახალმოზარდეული წონით 50 გრამი. ასევე ხარჯები გათვლილი იქნება თევზის საკვებზე, სარეწაო იარაღებზე (მოსასმელი და სახლართი ტიპის ბადეები), მცურავ საშუალებებზე(ნავებზე) და მომსახურე პერსონალზე.

7. მოსაშენებელი სახეობები (თევზის ან/და სხვა ჰიდრობიონტის ქართული და ლათინური სახელწოდებები, გენეტიკური ფორმის შესახებ ინფორმაცია)

თეთრი სქელშუბლა - *Hypophthalmichthys molitrix* (Valenciennes, 1844);

ქერცლოვანი კობრი - *Cyprinus carpio* Linnaeus, 1758

თეთრი ამური - *Ctenopharyngodon idella* (Valenciennes, 1844)

აღნიშნული თევზის სახეობები შერჩეულია იმ მიზნით, რათა რაციონალურად მოხდეს ტბის ბუნებრივი რესურსის ათვისება.

კობრის ძირითად საკვებს წარმოადგენს მაკროუხერხემლოები (ბენტოსური ორგანიზმები), თეთრი ამური იკვებება მცენარეებით, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს წყალსატევში მცენარეული მასის კლებას, ხოლო თეთრი სქელშუბლა იკვებება ფოტოპლანქტონით, რაც ასევე მნიშვნელოვანია წყალსატევის ეუტროფიკაციის შესამცირებლად.

ამასთანავე წყალსატევის წყლის ტემპერატურა შეესაბამება აღნიშნული თევზის სახეობების გამომზრდისთვის განკუთვნილ წყლის ტემპერატურას.

აღსანიშნავია, რომ წყალსატევში ბინადრობს ინვაზიური თევზის სახეობა კარჩხანა *Carassius gibelio* (Bloch, 1782), ასევე რამოდენიმე წელია რაც შეინიშნება მდინარის ქორჭილა *Perca fluviatilis* Linnaeus, 1758, რომლებიც მარაბდის ტბაში ხვდებიან ალგეთის წყალსაცავიდან. სამინისტროს ნებართვის შემთხვევაში მოხდება აღნიშნული თევზის სახეობების მაქსიმალურად ამოჭერა, ვინაიდან ეს სახეობები წარმოადგენენ ბიოლოგიურად აგრესიულ სახეობებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი ზიანის მოტანა შეუძლიათ, როგორც თევზსამეურნეო საქმიანობისათვის, ასევე ველური (აბორიგენული) თევზის სახეობებისათვის.

გარდა აღნიშნული თევზის სახეობებისა წყალსატევში ბინადრობს ქაშაპი, ფრიტა, თეთრულა და ხრამული.

8. ჩასასმელი მასალის (ლარვის, ლიფსიტის, ახალმოზარდეულის) მიღების გზები;

ჩასასმელი მასალის შექმნა მოხდება კახეთისა და სამეგრელოს სალიფსიტე მეურნეობებიდან, კერძოდ მოხდება 50 გრამიანი ახალმოზარდეულის შექმნა და შესაბამისი აღჭურვილობის მქონე ავტომობილით ტრანსპორტირება. თავდაპირველად მოვახდენთ ჩასასმელი მასალის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებას (რათა არ მოხდეს დაავადებული თევზის წყალსატევში მოხვედრა) და ვეტერინარის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე მოვახდენთ შექმნას.

9. საკვებისა და საკვები დანამატების შესახებ დეტალური ინფორმაცია (ხელოვნური ზედაპირული წყალსატევების შემთხვევაში);

წყალსატევის პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით დაგეგმილი გვაქვს გამოვიყენოთ მცენარეული საკვები, კერძოდ კობისა და თეთრი ამურისათვის გამოვიყენებთ მარცვლეულს(სიმინდი, ხორბალი, ქერი). რაც შეეხება სქელშუბლას კვებას, ვინაიდან სქელშუბლა იკვებება ფიტოპლანქტონით შესაძლებელია გამოყენებული იქნას ამონიუმის გვარჯილა და ამოფოსი, თუმცა პირველ ეტაპზე მათი გამოყენება არ იგეგმება, ვინაიდან ჩვენი ინფორმაციით წყალსატევში მრავლადაა ფიტოპლანქტონი, განსაკუთრებით კი ზაფხული პერიოდში.

10. აკვაკულტურის საქმიანობის განხორციელების დეტალური გეგმა (წყლის ობიექტისა და თევზსამეურნეო საქმიანობის მართვის);

აკვაკულტურის განსახორციელებლად, კონკრეტულ შემთხვევაში ვაპირებ 2000 ცალი 50 გრამიანი თეთრი ამურის, 15000 ცალი 50 გრამიანი კობრის და 3000 ცალი 50 გრამიანი სქელშუბლას ლიფსიტის გაშვებას. წყლის ტემპერატურის 15 გრადუსზე ასვლის შემდეგ იწყება ლიფსიტის ინტენსიური კვება. ძირითადად კობრისთვის მარცვლოვანი საკვებით (სიმინდი, ხორბალი, ქერი, სოიო). 1 კგ კობრის მისაღებად საჭიროა 4 კგ საკვები. ტბორში არსებულიო წყალი არ შეიცავს კობრისთვის ბუნებრივ საკვებს. რაც შეეხება თეთრ ამურს- ტბორში ამჟამად არის მისთვის ბუნებრივი საკვები ბალახი, რომლის მოშორებაც აუცილებელია თეთრი ამურის დახმარებით. ტბორს სოფელი იყენებს ადგილობრივი პირუტყვის წყლის დასალევადა და მისი ნაკელის მეშვეობით ტბორში მრავლდება საკმაო რაოდენობის პლანქტონი რაც ბუნებრივი საკვებია სქელშუბლასთვის. ამ შემთხვევაში თეტრი ამური და სქელშუბლა ასრულებს ტბორის სანიტარის ფუნქციას. მარაბდის ტბა გამოიყენება მელიორაციისათვის, ამიტომ შემოდგომა ზამთრის პერიოდში წყლის რაოდენობა იკლებს, რაც გვადლევს თევზის ჭერის საშუალებას. თევზის გაყიდვას ვაპირებთ ადგილობრივ ბაზარზე. სეზონურად მეყოლება დასაქმებული 8 ადგილობრივი მაცხოვრებელი.

11. ველური თევზის სახეობებზე დაავადების გავრცელების თავიდან ასაცილებლად განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;

როგორც ზემოთ ავლიშნეთ (პუნქტი 8.), მოვახდენთ ჩასასმელი მასალის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებას შესაბამისი ვეტერინარის მეშვეობით. ჩასასმელი მასალის წყალსატევში ჩასმამდე, მოვახდენთ შესაბამისი საშუალებებით განბანვას. წყალსატევში ეტაპობრივად მოვახდენთ კირის შეტანას. რაიმე დაავადების აღმოჩენის შემთხვევაში დავუყოვნებლის შევატყობინებთ სურსათის ეროვნულ სააგენტოს და მათი მითითებებით ვიმოქმედებთ შემდგომში დაავადების განკურნების მიზნით.

12. მცურავი საშუალებისა და მისი ექსპლუატაციის შესახებ ინფორმაცია;

ამ ეტაპზე მაქვს სამი ცალი ალუმინის ნავი, საჭიროების შემთხვევაში მოვახდენთ კიდევ რამოდენიმე ნავის შეძენას.

13. აკვაკულტურის საქმიანობის არეალის მიმდებარე არეალში განსახორციელებელი აკვაკულტურის საქმიანობიდან მისაღები სარგებელი (ახალი სამუშაო ადგილების შექმნის შესახებ და სხვა შესაბამისი ინფორმაცია);

მუდმივად იქნება დასაქმებული ორი ადამიანი და სეზონურად თევზის ჭერის დროს 8 ადამიანი.ვაპირებ წელიწადში ვაწარმოო 10000-20000 კგ თევზი. გადასახადების გადახდამდე ვვარაუდობ მოგებას 40000-70000 ლარის ფარგლებში.

